



საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის
მდივნის
განკარგულება №02-320/2017

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებული ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციის „საქართველოს ახალგაზრდა ინტელექტუალთა გაერთიანება - ლაზარე“ დამკვირვებლის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ

ქ. თბილისი

2017 წელი 18 ოქტომბერი

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-15 მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 39-ე მუხლის მე-4 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, მე-40 მუხლის მე-7 პუნქტის, 77-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და 78-ე მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად, ვადგენ:

მუხლი 1. უარი ეთქვას დამკვირვებლად რეგისტრაციაზე ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციის „საქართველოს ახალგაზრდა ინტელექტუალთა გაერთიანება - ლაზარე“ წარმომადგენელს - ხათუნა ნადირაძეს, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 39-ე მუხლის მე-4 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვინაიდან იგი არის საარჩევნო სუბიექტის ბლოკი „დიმიტრი ლორთქიფანიძე, კახა კუკავა - დემოკრატიული მოძრაობა - თავისუფალი საქართველო“ წარმომადგენელი №10 გლდანის საოლქო საარჩევნო კომისიაში შემავალ №73 საუბნო საარჩევნო კომისიაში.

მუხლი 2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მისი გამოცემიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

კომისიის მდივანი

გიორგი ჯავახიშვილი